**თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის**

**სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

**ფუნქციონალური სტილისტიკის საკითხები**

**ს ი ლ ა ბ უ ს ი**

კათედრა – **ქართული ფილოლოგიის**

კურსის სტატუსი – **სავალდებულო**

კრედიტების რაოდენობა: **5 (ხუთი)**

კურსის კოდი – **P.2.K.13**

ლექტორი – **სრული პროფესორი** ნუნუ გელდიაშვილი

საკონტაქტო ტელეფონი: 7-61-05; 893-14-64-05
**nunu.geldiashvili@gmail.com**

კურსის აღწერა: კურსი გათვალისწინებულია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში - ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა

კურსის ხანგრძლივობა: 15 კვირა -125 საათი:

ა) სააუდორიო -45 სთ.
ბ) დამოუკიდებელი –80 სთ.
დამატებითი საკონსულტაციო საათები: ხუთშაბათი-14-16 სთ.

კურსი მოიცავს სალექციო-თეორიულ და, უფრო მეტად, პრაქტიკულ სამუშაოს. სწავლების სისტემატიზაციისათვის გამოიყენება ცოდნის შემოწმების სხვადასხვა ფორმა: წერითი და ზეპირი გამოკითხვა, საშინაო დავალებები..... სწავლება წარიმართება ინტერაქტიურად.
კურსის შესწავლის შედეგად სტუდენტს მიენიჭება 5 კრედიტი.

**სალექციო კურსის მიზანი** – კურსი მიზნად ისახავს სალიტერატურო ენის ფუნქციონირების ცალკეული სფეროებისა და ამ სფეროთა სტილებრივი თავისებურებების შესწავლას, განსაკუთრებით კი - სამეცნიერო სტილის მახასიათებლებზე ყურადღების გამახვილებას, რაც მაგისტრანტს გაუადვილებს სამაგისტრო ნაშრომის შექმნას; მიღებული ცოდნის სისტემატიზაციას. მიზნიდან გამომდინარე, კურსის ამოცანას შეადგენს ა) იმ ენობრივ საშუალებებზე დაკვირვება, რომლებიც სალიტ. ენის ფუნქციონალურ (სპეციალურ) დიფერენციაციას ემსახურება და გამოხატავს, ბ) ერთი და იმავე

ტექსტის განსხვავებული სტილით გადმოცემის დაუფლება; გ) ტექსტის კორექტირებისას ტექსტის სტილთან შეუსაბამო ფორმების გამოვლენის უნარის ჩამოყალიბება; დ) აკადემიური წერის უნარების განვითარება.

**პრერეკვიზიტი:** სტუდენტს კრედიტი მინიჭებული უნდა ჰქონდეს ქართული ენის ზოგად კურსში.

**სასწავლო კურსის შედეგი** – კურსის შესწავლის შედეგად სტუდენტი თეორიული ცოდნის საფუძველზე, თავისუფლად შეძლებს სახვადასხვა ფუნქციონალური ტექსტების ანალიზსა. ტექსტის ტიპის შესაბამისად გამოიყენებს ყველა ენობრივ საშუალებას და თავად შექმნის სასურველი ტიპის ტექსტს..

| | **ზოგადი კომპეტენციები** | **დარგობრივი კომპეტენციები** |
|---|---|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება.** | სხვადასხვა ფუნქციონალური ტექსტების შექმნა, ანალიზი და კორექტურა;<br>ენობრივი საშუალებების სწორად გამოყენება | სიღრმისეული ცოდნა ფუნქციონალურ სტილისტიკაში;<br>ფუნქციურად განსხვავებულ ტექსტთა თავისებურებების გამოვლენა, შეპირისპირება;<br>სამეცნიერო(სამაგისტრო) ნაშრომის დაწერა. |
| **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** | შეძენილი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზება | გემოვნებიანი მიზნობრივი ტექსტის აგება;<br>კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი |
| **სწავლის უნარი** | საკუთარი საქმიანობისა და კარიერის დაგეგმვა; სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა | ახალი ინფორმაციის მოძიება და საკუთარი ცოდნის დონის გაღრმავება; |
| **ღირებულებები** | გააჩნია პროფესიული პრინციპების დაცვისა და სხვებისადმი გაზიარების უნარი. | ითვალისწინებს და პატივს სცემს სპეციალისტების აზრს, აცნობიერებს ზუსტი და თანადროული მუშაობის აუცილებლობას;ახალი ღირებულებების დამკვირებაში საკუთარი წვლილისშეტანა |

| | | |
|---|---|---|
| **დასკვნის უნარი** | დაგროვილ ცოდნაზე დაფუძნებით ადეკვატური ანალიზისა და დასკვნის გაკეთება | დებატებისა და დისკუსიების დროს სწორი და ლოგიკური დასკვნების გაკეთება;<br><br>ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი |
| **კომუნიკაციის უნარი** | საკუთარი აზრის დამაჯერებლად და ლოგიკურად გამოხატვის უნარი აკადემიურ საზოგადოებაში | აკადემიურ საზოგადოებასთან განსხვავებული( შესაბამისი) სტილით კომუნიკაცია პროფესიონალურ დონეზე |

## ს ა ლ ე ქ ც ი ო  კ უ რ ს ი ს  ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა

**<u>I კვირა</u>**

ა) სტუდენტები გაეცნობიან სილაბუსის შინაარსს და შეფასების კრიტერიუმებს.

ბ) სალექციო თემა – საგნის არსი და ამოცანები. ფუნქციური სტილის გაგებისათვის.

**ლიტერატურა:** 1. თ. სანიკიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 3-18.
2. ა. არაბული, დასახ. ნაშრომი, გვ. 188-193.
3. ალ. გვენცაძე, დასახ. ნაშრომი გვ. 3-20

**II–III კვირა**

სალექციო თემა – სამეცნიერო სტილი, მისის ფუნქციონირების სფეროები და ძირითადი მახასიათებლები. სამეცნიერო ტექსტები.

**ლიტერატურა:** 1. თ. სანიკიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 18-33
2. ა. არაბული, დასახ. ნაშრომი, გვ. 193-193.
3. ქ. გოჩიტაშვილი, გ. შაბაშვილი, ნ. შარაშენიძე, აკადემიური წერა, გამომცემლობა „საიმედო", თბილისი 2008წ. გვ. 100-104

**IV კვირა –** ტექსტების აგება და კორექტურა.

**V-VI- VII კვირა**

სალექციო თემა–პუბლიცისტური სტილი, მისი ფუნქციონირების სფეროები და ძირითადი მახასიათებლები. პუბლიცისტური ტექსტები.

შუალედური წერა

**ლიტერატურა:** 1. თ. სანიკიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 47-55
2. ა. არაბული, დასახ. ნაშრომი, გვ. 196-200

**VIII–IX კვირა**

სალექციო თემა – ოფიციალურ-საქმიანი სტილი,

მისი ფუნქციონირების სფეროები და ძირითადი მახასიათებლები.

შუალედური წერის შედეგების ანალიზი

**ლიტერატურა:** 1. თ. სანიკიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 33-46

2. ა. არაბული, დასახ. ნაშრომი, გვ. 201-210

**X–XI კვირა**

სალექციო თემა – მხატვრულ-ლიტერატურული სტილი, მისი ძირითადი მახასიათებლები.

**ლიტერატურა:** 1. თ. სანიკიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 55-67.

2. ალ. გვენცაძე, დასახ. ნასრომი, გვ. 12-15

**XII კვირა**

სალექციო თემა – სასაუბრო სტილი, მისი ფუნქციონირების სფერო და მახასიათებლები.

**ლიტერატურა:** 1. თ. სანიკიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 67-79.

2. ალ. გვენცაზე, დასახ. ნაშრომი, გვ. 14-17.

**XIII კვირა** – შუალედური წერა

**XIV კვირა** – პრაქტიკული მეცადინეობა. შუალედური წერის შედეგების ანალიზი

პრეზენტაციები.

**XV კვირა** – შემაჯამებელი ლექცია.

**სწავლებისა და სწავლის მეთოდები**

– გათვალისწინებულია სწავლების შემდეგი მეთოდების გამოყენება: პარაქტიკული, წერითი და ზეპირი გამოკითხვა, საშ. დავალება, პრეზენტაცია.

ამდენად, სწავლება წარიმართება თეორიული და პრაქტიკული მუშაობის შერწყმით, ინტერაქტიურად.

**მოთხოვნები – ა/. ქცევა –** თავშეკავებულობა, კორექტულობა, საკუთარი აზრის მისაღებ ფორმაში ჩამოყალიბება;

**ბ/. კატეგორიულად აკრძალულია გადაწერა და**

**პლაგიატობა –** საშინაო დავალებები – 0 ქულა,

შუალედური წერა – 0 ქულა

საბოლოო გამოცდა – 0 ქულა.

**სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები –** სტუდენტი საბოლოოდ შეფასდება სემესტრის დასასრულს მაქსიმუმ **100** ქულიანი სისტემით.

**გათვალისწინებული იქნება შემდეგი კომპონენტები :**

**I.** შუალედური შეფასება —— მაქსიმუმ 60 ქულა, აქედან:

ა/. **ორი შუალედური წერა** ––– მაქსიმუმ 30 ქულა, თითოეული მაქსიმუმ 15 ქულა (VIII, XIII კვირა). სტუდენტებს საწერად მიეცემა ერთი თეორიული (მაქსიმუმ 10 ქულა) და ერთი პრაქტიკული ხასიათის (მაქსიმუმ 5 ქულა) დავალება. ***შუალედური წერის შეფასების კრიტერიუმები:***

1. **დავალება — თეორიული საკითხი (მაქსიმუმ 10 ქულა) აქედან:**

- საკითხის ადეკვატურად გაგება და გააზრება — 4 ქულა;
- ნაშრომის აგება დაარგუმენტირება-ციტირება––4 ქულა;
- წერითი მეტყველების კულტურა (ორთოგრაფია, სინტაქსი, სტილი, პუნქტუაცია) მხოლოდ 4 შეცდომა —— 2 ქულა;

დაშვებულია 5-დან 10–მდე შეცდომა —– 1 ქულა;

10-ზე მეტი შეცდომა ———— 0 ქულა

2. **დავალება — პრაქტიკული საკითხი (მაქსიმუმ 5 ქულა) აქედან:**

- დავალების ადეკვატურად და ზუსტად შესრულება––3 ქულა;

ნაწილობრივ ადეკვატურობა, თუმცა სიზუსტე – 2 ქულა; ნაწილობრივ ადეკვატურობა და ორიოდე უზუსტობა–1 ქულა;

არაადეკვატურობა და სამ უზუსტობაზე მეტი —– 0 ქულა.

- წერითი მეტყველების კულტურა – 2 ქულა;
- არაა დაცული წერითი მეტყველების კულტურა——– 0 ქულა.

ბ/. **ზეპირი სააუდიტორიო აქტივობები –** მაქსიმუმ **20** ქულა **(4X5ქულა);** ამ კომპონენტის პირველი და მეორე შეფასება – მაქსიმუმ 10 ქულა დაიწერება არა უგვიანეს შესაბამისი სემესტრის მე-8 კვირისა და შეფასების თარიღთან ერთად დაფიქსირდება შუალედური შეფასების უწყისში მათი გამოცხადებიდან არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა და გადაეცემა ფაკულტეტის დეკანატს.

*პრეზენტაცია ძირითადად შეფასდება შემდეგი სქემის მიხედვით:*

- თემის წარმოდგენა (მიზანთან შესაბამისობა);
- მსჯელობის ლოგიკური განვითარება და რიტორიკის კულტურა;
- არგუმენტაცია და ვიზუალური მასალა;

- კითხვებზე პასუხი/დებატის ხელოვნება და აუდიტორიასთან ურთიერთობა;
- პრეზენტაციის კულტურა

საპრეზენტაციო თემის შერჩევისას გათვალისწინებული იქნება სტუდენტის სურვილი.

**გ/. საშინაო დავალება/რეფერატი —** მაქსიმუმ 10 ქულა,

*შეფასების კრიტერიუმები:*

- ადეკვატურობა და სრულყოფილება ——— 3 ქულა;
- ლოგიკურობა და თანამიმდევრულობა ———— 2 ქულა;
- დამოუკიდებელი აზროვნება (ინდივიდუალიზმი) —— 3 ქულა;
- წერითი მეტყველების კულტურა ————— 2 ქულა.

**II. დასკვნითი გამოცდა —— მაქსიმუმ 40 ქულა (ზეპირი)**

დასკვნით, შემაჯამებელ გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს იმ შემთხვევაში, თუ შუალედური შეფასება შეადგენს მინიმუმ 11 ქულას. მან უნდა გამოამჟღავნოს სემესტრის განმავლობაში შესწავლილი თეორიული და პრაქტიკული მასალის შესაბამისი ცოდნა.

კრედიტი მიენიჭება სტუდენტს მინიმუმ **51** ქულის დაგროვების შემთხვევაში და უფლება ეძლევა, თავად გადაწყვიტოს საბოლოო გამოცდაზე გასვლის საკითხი.

**შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:**

1) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

2) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

3) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

4) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

5) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

1) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

2) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი

სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ამ მუხლში მოყვანილი ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

**ლიტერატურა**: 1. თ. სანიკიძე, ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისის, 1999წ.

2. ა. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, გამომცემლობა, „უნივერსალი", თბილისი, 2004

3. თ. ჯაგოდნიშვილი, ივ. ჯაგოდნიშვილი, მ. ვარდიაშვილი, აკადემიური წერა (კვლევისა და წერის სახელმძღვანელო), გამომც. „უნივერსალი", თბ., 2008წ. (ლექტორის პირადი ბიბლიოთეკა).

**დამატებითი ლიტერატურა:**

4. ქ. გოჩიტაშვილი, გ.შაბაშვილი, ნ. შარაშენიძე, აკადემიური წერა, თბ., 2009წ.(თესაუ-ს ბიბლიოთეკა,ლექტორის პირადი ბიბლიოთეკა).

5. ალ. გვენცაძე, ზოგადი სტილისტიკა, გამომცემლობა „გამომცემლობა „განათლება", თბილისი, 1991წ.

**ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, სამკითხველო დარბაზში, სარაიონო ბიბლიოთეკასა და ლექტორის პირად ბიბლიოთეკაში.**